572
1963

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხასა ხედავ?
— ცასა ღუჩუსა.
— ხასა ნატრამ?
— მზატვრის ფუნჯსა.
— ხას დახატავ?
— მთას და მდელსა.
— გაუმარჯოს?
— საქართველოს!

ლიტა

„ოკეანეო, ტურფა ქალწულო,
ელბრუსი, ივერი მზარეო,
და ბერეკ, ჭირთველო, სწიველია
ხამშიბალი ეკიბარეო!"

№ 2 საკავშირო ბავშვთა ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი

თებერვალი 1963

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახატი ლ. შენგელიანი

წავიდეთ, ვნახოთ...

ი. აბაშიძე

წავიდეთ, ვნახოთ იორი,
ის უკვდავების წამალი;
სიცოცხლედაბრუნებული
ძველი სამგორის ტრამალი.



წავიდეთ, ვნახოთ თბილისის
ზღვისპირი აყვავებული,
წყალზე სხივების თამაში,
ზვირთი ზვირთს დახვავებული.



წავიდეთ, ვნახოთ ველებზე
ღაღი ზვირთების ჭენება;
ვნახოთ სამგორის ბაღნარი—
ჩვენი სამშობლოს მშვენება.

ლექსი ყდაზე ეკუთვნის ნ. შამანაძეს.

„დედანა“

ვ. ალადამაზიშვილი

ნახატები მ. როინიშვილისა

1963

ეროვნული ბიბლიოთეკა

2054

3

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი

რუსუდანი და თამაზი მეზობლები არიან, ხშირად ერთად თამაშობენ. ერთ დღეს რუსუდანმა მამის ნაჩუქარი „დედანა“ გარეთ გაიტანა, თამაზს დაუძახა, აივანზე ჩამოსხდნენ და გადაშალეს.

— მე კითხვა ვიცი! — ეშმაკურად ჩაიცინა თამაზმა.

— როდის ისწავლე?

— მმამ მასწავლა!

რუსუდანმა დაუჯერა და წიგნი გაუწოდა.

— წაიკითხე!

თამაზმა კითხვა არ იცოდა და აბა რას წაიკითხავდა, მაგრამ წარბიც არ შეუხრია. ნახატს დახედა, ასოებს თითი გააყოლა და ხმამაღლა წარმოთქვა:

— ია!

რუსუდანმა შემდეგ გვერდზე უჩვენა.

— აქ რაღა სწერია?

— თითი!

— აქ?

— საათი!

— აბა, კიდევ წაიკითხე? — არ ეშვებოდა გოგონა.

— ციკანი!

— მართლა ციკანი სწერია? — დაეჭვდა რუსუდანი და ნახატს დააკვირდა, იქ გრძელრქებიანი თხა ეხატა.

— ჰო, ციკანია!

— არა, ეგ თხა არის: ციკანი ზატარაა, რქები არა აქვს, ამას კი უეურე, რამხელა რქები აქვს!

— ალბათ ამოუვიდა, — ხელახლა იცრუა თამაზმა; გული მოსდიოდა, რადგან ნახატი სწორედ ვერ ამოიცნო, თორემ

რუსუდანს ნამდვილად დააჯერებდა, რომ კითხვა იცოდა.

მერე ადგა, შინისაკენ დარცხვენილი წავიდა და გულში გადაწყვიტა: მმას შევეხვეწები, ანბანი მასწავლოსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეტარ ყველანი

ი. სიხარულიძე

ნეტარ ყველანი, ვისი?

— ვისი ხარ, წყაროვ, ვისი?
— ვისაც ვწყურივარ, მისი!
შენიცა ვარ და სხვისიც,
ყველას ვუყვარვარ, ვიცი!

მე ყველასი ვარ: შხეფებს
სულ აქეთ-იქით ვისვრი,
ვრწყავ ყვავილს, მწვანე ბალახს,
წყალი სჭირდებათ ვიცი!

ყვავილი რომ დამხედავს,
ამიტოკდება ჩქერი,
გადავეხვევი შხეფით
და სიყვარულით ვმღერი!

ჩვენი სახლი

ჯ. ბოგიანოვილი

ახალია ჩვენი სახლი,
ჩვენი ქუჩაც ახალია,
წინ, ბაღნარში ჩიტუნები
ახალ ბუდეს დაჰხარიან.

გოგიც, თინაც ხელში ბარგით
კართან დგანან თეთრი ძაღლით.
რა დიდია ჩვენი ქუჩა,
რა კარგია ჩვენი სახლი!

მინა გამოჩნდა

მ. ჯრიშვილი

სამი დღეა ეინვა აღარ ეოფილა. თოვლს ობილი ნისლი ჩუმჩუმად მიეძალა.

— მამა, გამოდი ერთი, ეანის ჩიტები რა საამოდ გალობენ!—შემესმიანა ჰეტია.

გავედი და ეური მივუგდე. მართლაც არაფერი სჯობდა მათ მოსმენას, ნიავიც ალერსიანად ჰქროდა. შარაგზას ჟღალი ფერი დაჰკრავდა და სადაცაა ლილოჭრილოებიც გამოჩნდებოდა.

თითქოს ვიღაცა დიდხანს ფეხდაფეხ მოსდევდა გაზაფხულს, ბოლოს დაეწია და წაეტანაო, გაზაფხული კი შეჩერდა და ჩაფიქრდაო...

ეოველი მხრიდან აეივლდნენ მამლები. გაცრეცილ ნისლში მოლურჯო ტყეები გამოეჩია.

ჰეტია გაჰეურებდა თანდათან როგორ აიკრიფა ნისლი მინდვრებიდან და როცა ველზე რაღაც შავად შენიშნა, წამოიძახა:

— ნახე, მიწა არ გამოჩნდა?!

მერე შინ შეირბინა:

— ლოვა, გამოდი ჩქარა, გახედე, მიწა გამოჩნდა!

დედამაც ეღარ მოითმინა, გამოვიდა გარეთ, თვალები მოიჩრდილა და იკითხა:

— აბა, სად ჩანს მიწა?

ჰეტია კი სელგაწვდილი იდგა ეველაზე წინ, როგორც კოლუმბი ღია ზღვაში, თოვლით დაფარულ სივრცეში იმ ჩაშავებულ ადგილს უჩვენებდა და იმეორებდა:

— მიწაა, მიწა!

ნახატები ზ. ქაპანაძისა

კნუტი

თამარ წულუკიძე

ნახატები თ. სამსონაძისა

პიესა-თამაში

სცენა წარმოადგენს ტყეს. ბაჭიები დახტიან, ფრინველები დაფრინავენ და მღერიან.

ბაჭია — ჩუ, ვიღაც მოდის!

ჩიტი — ვაიმე, იქნებ მელიაა!

ბაჭია — არა, კატაა, პატარა კატა.

ჩიტები — დავიმალოთ!... დავიმალოთ!... (აფრინდებიან).

ბაჭიები — დავიმალოთ! (ყველანი ბუჩქებში იმალებიან, იქიდან თვალს ადევნებენ შემოსულ კნუტს).

კნუტი — (პეპელას მისდევს) დაიცა, დაიცა, პეპელავ! სად მიფრინავ? მოდი, ერთად ვითამაშოთ. ვითომ მე კატა ვარ, შენ კი—თაგვი. შენ ვითომ გაიქცევი, მე ვითომ ვისკუპებ და დაგიჭერ...

პეპელა — და შემჭამ, არა?

კნუტი — რატომ უნდა შეგჭამო? დედა არ მომიკვდეს, გაგიშვებ. შენ ისევ გაფრინდები, მე კიდევ დაგიჭერ; კიდევ გაფრინდები, კიდევ დაგიჭერ...

პეპელა — ამ თამაშობაში ხომ დამეფლითება ლამაზი ფრთები! არა, არ მინდა შენთან თამაში. აგერ, ჩემი ტოლი მოფრინავს, უკეთესია იმას ვეთამაშო. (შეუერთდება მეორე პეპელას, თამაშით მიფრინავენ).

კნუტი — უჰ, რა მოწყენილი ვარ. არავინ არ მეთამაშება. (შემოფრინდება ჩიტი. სტევნს).

ბიჭოს! რა ლამაზი ჩიტია! ჩიტო! ნუ გაფრინდები, რა! მოდი მეთამაშე! მე, ვითომ, კატა ვიქნები, შენ ვითომ—თაგვი. შენ, გაიქცევი, მე დაგედევნები...

ჩიტი — რა სულელი მნახე! მე გავიქცევი და შენ დამედევნები!... მერე ჩიტი კატის ბრეტყელებს გადაურჩება?

კნუტი — მე ხომ კატა არა ვარ. პატარა კნუტი ვარ. ჯერ ბრეტყელები არც კი მაქვს. აბა, ნახე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩიტი — ჰო, ვიცი, ვიცი, ვერ მომატყუებ!

კნუტი — დედა არ მომიკვდეს, არ გატყუებ. აბა, სადა მაქვს ბრეკელები? აბა, სად?

ჩიტი — თავს ნუ იკატუნებ. სადა გაქვს და თათებში გაქვს ჩამალული. არ მინდა შენთან თამაში.

კნუტი — (სლუკუნებს) რანაირი ხარ!

ჩიტი — შენთვის არა მცალია. მე ჩემი ბარტყები მიცდიან, ბუზები უნდა დავიჭირო და მივუტანო. აგერ, რა დიდი ბუზი მოფრინავს.
(გაფრინდება).

ბაყაყი — (ამოხტება) ყი-ყი! რა გააჭირა საქმე ამ მზემ, სულ ანთებს და ანთებს. უჰ, დამცხა! ნეტავ წვიმა მოვიდოდეს! ყუა... ყუა...

კნუტი — ეს ვინ არის? გაბერილი, თვალებდაბეჟეტილი... რა უშნოდ დახტის. მოდი, დავიჭერ.

ბაყაყი — უჰ, როგორ შემაშინე! რა გინდა? გამაშვი! არ გესმის, მომეშვი-მეთქი!

კნუტი — არ გაგიშვებ.

ბაყაყი — ყი-ყი! ერთი ამ თავხედს დამიხედეთ, რეებს მიბედავს! შენ, ეი, ხომ არ გინდა, ამ ტლაპოში გიკრა თავი?

კნუტი — ფი! ტლაპოში როგორ შეიძლება! თათები დამესვრება, დედა გამიჯავრდება. არა, აქ ვითამაშოთ. შენ ისევ გიჭერ, მე ისევ დაგიჭერ, კარგი?

ბაყაყი — ყი-ყი, ეს ვინ არის? რა შენი ამხანაგი მნახე? გამიშვი თათი!

კნუტი — არ გაგიშვებ.

ბაყაყი — ყუა-ა, გინახავთ ამისთანა! რას ჩამაცივდა!

კნუტი — მეთამაშე რა-ა! მე ვითომ კატა ვარ, შენ ვითომ...

ბაყაყი — ჰო, კარგი, ვითამაშოთ. გამიშვი რომ გავიქცე!

კნუტი — აჰა, გაიქეცი! მიაუ-უ!..

ბაყაყი — (ისკუპებს) ყი-ყი-ყი!.. მოგატყუე თუ არა! აბა, დამიჭირე, თუ ბიქი ხარ!.. ყუა, ყუა, ყუა!

კნუტი — (გაიბუტება) არ გინდა, ნუ გინდა. სხვას მოვინახავ.

თაგუნია — (თავს ამოყოფს სორიდან, დაიწრუწუნებს, ისევ ჩაიმალება).

კნუტი — ეს ვინ იყო? მიაუ!.. აგერ, ისევ ამოყო თავი. ისევ დაიმალა, ჰეი, ვინა ხარ მანდ? რატომ მემალები? ჩემი ნუ გეშინია, მოდი აქ!

თაგუნია — (ფრთხილად ამოყოფს თავს) შენ ვინა ხარ?

კნუტი — მე კნუტი ვარ. შენა?

თაგუნია — მე თაგუნია ვარ.

კნუტი — ჰე, თაგუნია! როგორ გამახარე! მაშ, შენა ხარ თაგვი?

თაგუნია — თაგვი კი არა, თაგუნია. თაგვი დედაჩემია.

კნუტი — ამოდი, ვითამაშოთ, ვითომ მე...

თაგუნია — არა, მეშინია, დედამ მითხრა გარეთ არ გახვიდე, თორემ კატა შეგჭამსო. რა ვიცი, შენ ვინა ხარ, იქნებ კატა ხარ.

კნუტი — მე კატა არა ვარ. მე პატარა კნუტი ვარ.

თაგუნია — აბა, დედა დაიფიცე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კნუტი — დედას ვფიცავ, კნუტი ვარ. ამოდი, რა!

თაგუნია — ჰო, მაშ ამოვალ! (ამოძვრება სოროდან).

კნუტი — მოდი ვითამაშოთ, ვითომ მე კატა ვარ...

თაგუნია — ვაიმე, დედა! (უმალ ჩაძვრება სოროში).

კნუტი — რა მშიშარა ყოფილხარ. ეს ხომ თამაშია!

თაგუნია — არ მინდა!

კნუტი — კარგი, მაშ მოდი, სხვა რამე ვითამაშოთ. იცი რა? შენ გაიქეცი, მე დაგიჭერ, კარგი?

თაგუნია — ჰო, ეს კარგია!—(ამოძვრება სოროდან).

კნუტი — აბა! ერთი, ორი, სამი! (დაედევნება თაგუნიას).

ბაჭიები — უყურეთ, ძმებო!

ფრინველები — ვაი, საცოდავი! როგორ ენდობა! თუ დაიჭერს, უსათუოდ შეჭამს. ჩქარა, ჩქარა! არ დაგეწიოს!

1-ლი ფრინველი — მოდით, მივეშველოთ, ძმებო!

2-რე ფრინველი — არ მივუშვათ, არ მივუშვათ! (ერთმანეთს ხელს ჩაჰკიდებენ, წრეს გააკეთებენ. კატა-თაგვობიას თამაშობენ. ბოლოს კნუტი დაწევა თაგუნიას...)

ბაჭიები — არ დავანებოთ! არ დავანებოთ! (გამოსტაცებენ თათებიდან თაგუნიას და გააკცევენ).

თაგუნია — გადავრჩი! (სოროში ჩაძვრება).

ბაჭია — აბა, მე დამეწიე, თუ ბიჭი ხარ! (თამაში გრძელდება. მოისმის კატის ხმა:—მიაუ-უ, სადა ხარ, შვილიკო, მიაუ-უ!..)

კნუტი — აქა ვარ, აქ! მიაუ, დედიკო!

ფრინველები — ვაიმე, კატა მოდის! თავს ეუშველოთ! (აფრინდებიან).

კნუტი — ნუ გეშინიათ, ის დედაჩემია! მიაუ!

ბაჭიები — დედაშენი არც ჩვენ დაგვაყრის კარგ დღეს! გავიქცეთ, ძმებო! (გარბიან).



ნახატი ხუციერა
3. ფლორიდელისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კატა — (შემოდის) აი, შე საძაგელო, შენა! აკი გითხარი ეზოდან არსად გახვიდე-მეთქი!

კნუტი — (სლუკუნებს) რა კარგად ვთამაშობდით. რატომ დააფრთხე რაა!..

კატა — სულელო! ამათთან თამაში შენ რას გამოგადგება! წამოიზრდები და ჭკუას ისწავლი. წამო სახლში, ჩქარა. (კნუტი სლუკუნით მისდევს).

ფ ა რ დ ა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელი

ნ. კლდიაშვილი

— ნელი!
— ნელი!
— ნელი!—
ასე მეძახიან,
ჩქარი გოგო ვარ და
ნელი რატომ მქვია?!

ნახატები ზ. ფორჩხიძისა

მ. ბოლქვაძე

ასკინკილა

დავხტი, დავხტი, ასკინკილა,
საღამოთი,
ყოველ დილა!
ფეხსაცმელი საღას ვარტყი,
ისე ვარტყი,
ისე ვარტყი,
რომ პირს აღებს ახლა, როგორც
დამშეული შაშვის ბარტყი!



ფაფა

მომიხარშა დედამ ფაფა,
რა კარგია, ნახეთ, აბა!
ვჭამე ფაფა: პირმა ჭამა,
შუბლმა ჭამა, ღაყამ ჭამა,

მაგრამ იცით, ყველას გეტყვით:
ცხვირმა ჭამა უფრო მეტი,
რა კარგია ტკბილი ფაფა.
თქვენც გასინჯეთ ყველამ, აბა?!

რ. მიშველაძე
ნახატები ე. ამბროკაძისა

საჩუქრები

ზაზას დედამ საჩუქრად დიდი, სათამაშო დათვი მოუტანა. დათვს ფართო ყურები ჰქონდა და რბილი თათები. სიხარულით ცას ეწია ზაზა-ბიჭი, მერე დედას ყელზე მოეხვია და ჩასჩურჩულა:

— დედიკო, შენ ყველაზე უფრო მიყვარხარ!

— მამა?

— მამაც მიყვარს, მაგრამ შენსავით არა.

არ გასულა ერთი კვირა და მამამ ახალთ-ახალი ველოსიპედით დაასაჩუქრა ზაზა.

სიხარულით ცას ეწია ზაზა-ბიჭი, მერე მამას ყელზე მოეხვია და ჩასჩურჩულა:

— მამიკო, შენ ყველაზე უკეთესი ხარ!

— დედა?—ჰკითხა მამამ.

— დედაც მიყვარს, ოღონდ შენზე მეტად არა.

როცა თეთრი ზამთარი მოვიდა, ზაზას სციოდა და ღუმელს აღარ სციდებოდა. გარეთ თოვლი იყო და ველოსიპედით ვერ გაივლიდა.

ერთ დღეს სოფლიდან ბებო ჩამოვიდა, ჩამოვიდა და შვილიშვილს ბევრი ჩურჩხელა და ხილეული ჩამოუტანა.

სიხარულით ცას ეწია ზაზა-ბიჭი, მერე ბებოს ყელზე მოეხვია და ჩასჩურჩულა:

— ბებიკო, შენ მიყვარხარ ყველაზე ძლიერ.

— მამა?—ჰკითხა ბებომ.

ზაზამ თავი ჩაღუნა.

— დედა?—ისევ ჰკითხა ბებომ.

ზაზამ უფრო ჩაღუნა თავი.

კიდევ კარგი, კეთილ ბებოს არ უთქვამს: თურმე საჩუქრებისთვის გცოდნია სიყვარულიო, თორემ ხომ შერცხვებოდა ბიჭი?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. ხაჩიაშვილი

ჩანჩქერის ნაპირას საბავშვო ბაღელები ბურთს თამაშობდნენ. რეზინის ბურთი შავი იყო და წითელი ზოლები დაჰყვებოდა. როცა ბურთს ნანულის მიაწვდიდნენ, ნანული უხერხულად აიქნევდა ბუნჩულა ხელს და ბურთიც თავის ნებაზე სადღაც გადავარდებოდა, ნანული ჩასუქებული და ბურთივით მრგვალი იყო. ახლაც მამუკამ ბურთი ხელის აქნევით ნანულის გადაუგდო. ნანულიმ მსუქანი მუშტი ისე მიარტყა ბურთს, რომ ბურთმა არც აცია, არ აცხელა, ახტა, დახტა და პირდაპირ ჩანჩქერში ჩახტა.

გელა და მურთაზი წყალში ჭყუმპალაობდნენ. გელა გასაოცარი ბიჭი იყო, კალიასავით უშიშრად დახტოდა კლდეღრეში და ერთი გაკაწრულიც არსად ეტყობოდა; მურთაზი ყველაფერში გელას ეჯიბრებოდა და ხელ-ფეხი სულ დაკაწრული ჰქონდა.

ბავშვებმა დაინახეს თუ არა, ბურთი წყალში რომ ჩახტა, ატეხეს ყვირილი:

— გელა, მურთაზ, ბურთი დაიჭირეთ!

ბურთს მურთაზი გამოეკიდა. გაუსხლტა, მაგრამ გელამ ისკუპა, ერთი ლამაზი ნახტომით ბურთთან გაჩნდა, მისწვდა, დაიჭირა და ბავშვებს გადმოუგდო.

— რანაირი ყოფილა ეს ბურთი, წყალშიც ისე დახტის, როგორც მიწაზე!—წამოიძახა მანანამ.

— გელასავით!—ჩაიცინა ნანამ.

ნახატები ჯ. ლოლუასი

ბატიბუტი

ნ. ბაბრიჩიძე

ეზო-ეზო დაბიჯებს
გადაცმული კატის კნუტი,
გაიძახის:—თაგუნებო,
შეიძინეთ ბატიბუტი!

ხმაკიკინა მე ვარ კრავი,
ბაკიბუკი, ბაკიბუკი,
გამოუავით გარეთ თავი,
შეიძინეთ ბატიბუტი!—

დასცინიან თაგუნები,
წრუწუნებმაც იცნეს კნუტი
თურმე ფისოს დაავიწუდა
დაემალა გრძელი კუდი!

სვიტერ

გ. ჭიჭინაძე

კითხვა ძალზე ადვილია,
პასუხი კი—ძნელი.
რატომ დადის დიდი სპილო
შუდამ ფეხშიშველი?

ასე ხსნიან პატარები
ამ უბრალო ამბავს:
მისი ზომის ფეხსაცმელი
ვერ იშოვა ალბათ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენთვის ავტორ ლეონ ეოკვლ ჯუღი

ზღაპარი

ერთხელ კურდღელი სოროში იჯდა და თხილს აკნატუნებდა. უცებ ხმაური მოესმა. გაიხედა და რას ხედავს: სოროს ფეხაკრეფით უახლოვდება უზარმაზარი ვეფხვი.

— დავილუპე,—ელდა ეცა, შიშის ქარი ჩაუდგა მუხლებში, მაგრამ ყურცქვიტა რის ყურცქვიტაა, თუ ასეთი გასაჭირის დროს რაიმე არ იღონა, და აკი იღონა კიდეც.

ხმაურით გატეხა ხმელი თხილი და თხილის გულს ხრამა-ხრუმი აუტეხა, თან ხმამაღლა იძახდა:

— იფ, იფ, იფ, რა გემრიელი თვალები ჰქონია ვეფხვს! რატომ აქამდე არ ვიცოდი!

ვეფხვმა გაიგონა ეს და იფიქრა: თავს თუ არ ვუშველე, ეს საშინელი მხეცი ნამდვილად თვალებს დამთხრის და შეახრამუნებსო. უკან დაიხია, ისკუპა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოუსვა.

გზაზე დათვი შემოეყარა.

— ძმობილო, ხომ არ მეტყვი, რა მხეცია, ტყისპირს ბუჩქებში რომ ჩამალულა და ვეფხვის თვალებს აკნატუნებს?—ჰკითხა ვეფხვმა.

— ვერ გეტყვი, ასეთი მხეცი ჩემს დღეში არ მინახავს,—მიუგო დათვმა.

ნახატი ვ. ხალეზინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაწყვიტეს წასულიყვნენ და თავისი თვალით ენახათ უცნობი მხეცი.

შიში რომ იოლად დაეძლიათ და გასაჭირში ერთმანეთი არ მიეტოვებინათ, კუდებით გადაებნენ ერთმანეთს და ისე გასწიეს.

ტყის ბინადართა რისხვა ვეფხვი და დათვი კუდგადაბმულები რომ დაინახა, ყურცქვიტას სიცილი აუტყდა:

— ბიჭი არ ვიყო, თუ იმათ კუდით ქვა არ ვასროლინოო! — თავისთვის ჩაილაპარაკა, თათები პირზე საყვირივით მიიდო, დიდი ხმა მექნებაო, და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ბოხი ხმით დაიყვირა:

— დახე, რას მიბედავს ეს უსინდისო ვეფხვი, მე თეთრი დათვის დაჭერა ვუბრძანე, მან კი მურიანი ბაჯბაჯა მომგვარა!

დათვმა ეს რომ გაიგონა, ელდა ეცა. იფიქრა: ვეფხვმა მილალატა და კუდზე გამობმული თავის მბრძანებელთან მიმიყვანაო. თავგზააბნეულმა, ერთი მაგრად გაიწია და მოჰკურცხლა. ულრან ტყეში რომ შევიდა და სული მოითქვა, მაშინლა მიხვდა, კუდი ზედ ძირში მოსწყვეტოდა.

ამის შემდეგაა, რომ დათვების მთელი მოდგმა ერთი ციცქნა კუდით დადის.

ლეჩხუმში ჩაიწერა და დაამუშავა
ზურაბ ლეშკაშელმა.

უდიდესი სიმდიდრე

ერთი ზარმაცი ბიჭი განუწყვეტლივ თავის სიღარიბეზე ჩიოდა.

— რა გაწუწუნებს? — ჰკითხა ერთხელ მოხუცმა კაცმა, — შენ ხომ უდიდესი სიმდიდრე გაქვს.

— აბა, სადა მაქვს? — გაიკვირვა ბიჭმა.

— აი, შენი თვალები, მისი ფასი განუზომელია, — მიუგო მოხუცმა, — რამდენ ფულსაც გინდა, მოგცემ თუნდაც ერთ თვალში, თუკი მომყიდი.

— ჩემს თვალებს ამ ქვეყნად არავითარ სიმდიდრეში არ გავცვლი. — უპასუხა ბიჭმა.

— კეთილი, — უთხრა კვლავ კაცმა, — მაშინ ხელები მაინც მომეცი, აურაცხელ ოქროს გადაგიხდი.

— არა, რამდენიც არ უნდა მომცე, ვერც ხელებს დავთმობ, — თავი გაიქნია ბიჭმა.

— აი, ხომ ხედავ, რა სიმდიდრის პატრონი ყოფილხარ! — ღიმილით მიუგო მოხუცმა და თან დასძინა: — ადამიანის ყველაზე დიდი სიმდიდრე ჯანმრთელობაა. ჯანმრთელობას ამ ქვეყნად ვერავითარი ოქროვერცხლით ვერ შეიძენ. სიღარიბის უებარი წამალი კი ბეჯითობა და გარჯაა. თვალი გიჭრის, მუხლი გერჩის, ხელები ძალ-ღონითა გაქვს სავსე, იშრომე და ყველაფერი უხვად გექნება.

გადმოკეთებული გერმანულიდან
შ. ამირანაშვილის მიერ.

ნახატი **მ. სამსონაძისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩხირკედელა

ტექსტი და ნახატები
ნ. ოქროპირიძისა

ბებერი მუხის ქვეშ ცხოვრობდა რკოს კაცუნა. მას თავი მრგვალი რკოსი ჰქონდა, ასანთის ღეროს ცხვირი ეკეთა, დახატულ მრგვალ თვალებს ეშმაკურად ატრიალებდა და პირზე ღიმილი არ შორდებოდა.

რკოს კაცუნას სიმინდის ქეჩეჩის ქოჩორი გადაევარცხნა, თავზე რკოს ქუდი დაეხურა, კისერი ასანთის ღეროსი ჰქონდა, ტანი კი მოგრძო რკოსი. წინსაფრად რკოს ფოთოლი ეკეთა, მაგრამ უველაზე საოცარი ის იყო, რომ სხვა რკოებთან განსხვავებით მას ასანთის ღეროსაგან გაკეთებული მეტად მოძრავი ხელ-ფეხი ჰქონდა.

ფეხსაცმელებად შუაზე გაჭრილი რკო ეცვა.

მეტად მოხდენილ რკოს კაცუნას ტყის მცხოვრებნი ჩხირკედელას ეძახდნენ, რადგან ისეთი მოხერხებული იყო, რომ თავისი ხელმარჯვეობით უველას აოცებდა.

ბავშვებო, ჩხირკედელა თქვენ მუყაოსა და ფერადი ქაღალდებისაგან, პლასტილინისა და სხვა მასალისაგან ათასნაირ სათამაშოების გაკეთებას გასწავლით.

თქვენც ეცადეთ მიჰბაძოთ მას.



ეროვნული ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფიქრები

მაყვალა მრევლიშვილი

ნემსი, ძაფი, ნაჭერი,
მაკრატელო, გაჭერი!

კაბა გვინდა კვირისთვის,
გავატარეთ კვირისტი.

შეიკერა ზიზია,
გამოიცან, ვისია?!



ნახატები ი. არღიშვილისა

ორი პოეტი

ბ. ნოლუაშვილი

ლოლიტს ძალუნა ეკუჭეტა,
ალაბ ტრიალეტს ეკუჭეტა;
— ჭეშა, ეკეძლეთ ძითხრა ლოლიტ.
ტირიდეთ ძითხრა ლოლიტ.
— თეკლს ფიცრეთ ძეკლეტ ეკეძეოდეთ,
ფანქრეთ ძეკლეტ ეკეძეოდეთ,
და ეკაძლეთ ეკეძეოდეთ ეკეძეოდეთ,
სკეკეეტ ეკეძეოდეთ ეკეძეოდეთ!

ლეკბერ

ვ. კახაძე

პატარა ზიზიამ თქვა: ჩემ დას — ლიას ეკუპურებო. სწორედ ესეიგან ჩამოიწერა:
— ლია, ია, ეს ეკუ ლიას ბანდა ბანეკა!
ლია თავის ეკეკ დედოფალს რთავდა. ლის სატეკებო, ეკეთიან ეკეკ ეკეკ ბანეკ. ეკეკ ეკეკ ეკეკ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფანქროდ, უმაკრატლოდ, უფეგოდ

ითა ოს ცხ ლი ვს რი და სტა ვი რი? ს? ვე წო ნებ ვი ფილ ს უნ

ამ ქალალდის ნაკუწებზე ორი სახუმარო კითხვა სწერია.

ეს ნაკუწები უწესრიგოდაა გაბნეული. მათი კიდეები ყველგან სხვადასხვანაირად არის შეჭრილ-შემოჭრილი. ეს დაგეხმარებათ თანამიმდევრობით მიუყენოთ ერთმანეთს ნაწილები. არც წებო იხმაროთ, არც გადასაყვანი ქალალდი, არც ფანქარი და არც მაკრატელი. ყველაფერი ეს გონებაში უნდა შეაერთოთ და წაიკითხოთ. აბა, რა გამოვა?

რებუსები შეადგინა საჩხერის მეორე

საშუალო სკოლის მოსწავლემ ნინო დურმიშიძემ

თქვენც შეადგინეთ!

გოლოდანაც წაიკითხეთ: მამამ; მანანამ; სოკოს; როგორ; აბა; არა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბლეხანოვის ქუჩა, № 91, ტელ. 5-37-38.	ყდის მხატვრობა და მაკეტი **ო. სამსონაძისა** რედაქტორი ი ო ს ე ბ ნ ი ნ შ ვ ი ლ ი. სარედაქციო კოლეგია: ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, კ. გ ო გ ი ა შ ვ ი ლ ი, მ ა ყ ვ ა ლ ა მ რ ე ვ ლ ი შ ვ ი ლ ი (რედაქტორის მოადგილე), ი. ს ი ნ ა ბ ა რ ლ ი ძ ე, ნ. უ ნ ა ფ ქ ო შ ვ ი ლ ი, შ. ც ხ ა დ ა ძ ე (სამხატვრო რედაქტორი), ტექ. რედაქტორი გ. რ ო ი ნ ი შ ვ ი ლ ი	ფასი 20 კაპ.
გამოცემის ოცდამეთექვსმეტე წელი.	რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ.	
გამომცემლობა „ნაკადული",	გამომც. შეკვ. № 789, სტამბის შეკვ. № 4184 ტირაჟი 40000 ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/I 1963 წ.	
	ჟურნალი დაბეჭდილია ლითო-ოფსეტურ ბეჭდვის ფაბრიკაში ბრისუს ქ. № 2.	
	Д И Л А — на грузинском языке. Тбилиси, просп. Плеханова № 91.	

ინდექსი 76055

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ზღვა“. ნახ. თემურ ნადარეიშვილისა. 6 წ. თბილისი.

„ხახლი“. (აპლიკაცია) ციცინო კუპაიძისა. 6 წ. თბილისი.



„მეგობრობა“. ნახ. მარინე მეგრელიძისა. 9 წ. სოფ. ქობულეთი.

„ყვავილები“. (აპლიკაცია) თამარ გულბანისა. 6 წ. თბილისი

„ხუთხური გოგო“. ნახ. თინათინ ბუკიასი. 6 წ. თბილისი.



„ფუნიკულორი“ ნახ. გივი ოქრომჭედლიშვილისა. 7 წ. საგარეჯო.

„მესაზღვრეები“. ნახ. თამაზ გიორგაძისა. 7 წ. თბილისი.